ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის

საბჭოს სხდომის

ოქმი N 6

27.04.2018

ფაკულტეტის საბჭოს დღის წესრიგი:

დღის წესრიგში წარმოდგენილია 1 ძირითადი საკითხი:

1. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედი მე-5 საფეხურის საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამის "ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი " დამტკიცება
2. სხდომას ესწრებოდნენ:

ფაკულტეტის საბჭოს წევრები :

დეკანი: პროფესორი თამარ გაგოშიძე

*ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:*

პროფესორი:

ია აფთარაშვილი, ნანა სუმბაძე, ლალი სურმანიძე.

ასოცირებული პროფესორები :

მანანა მელიქიშვილი, ლუიზა არუთინოვა, შორენა მამუკაძე, მაია მესტვირიშვილი, ლილი ხეჩუაშვილი, ეკატერინე ფირცხალავა, გიორგი გოროშიძე, თამარ აბაშიძე, ია აფთარაშვილი, ანი ქიტიაშვილი.

ასისტენტ პროფესორები:

თეონა ლოდია, ირინე გედევანიშვილი.

*განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:*

პროფესორი: ქეთევან ჭკუასელი;

ასოცირებული პროფესორი :

ზაქარია ქიტიაშვილი, იზაბელა პეტრიაშვილი, რუსუდან სანაძე;

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა სულ 20 წევრი

განიხილეს:

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედი მე-5 საფეხურის საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამის "ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი " დამტკიცება

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ასოც. პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ თსუ-ის ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში ფაკულტეტზე მოქმედი მე-5 საფეხურის საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამა "ბაგა-

...ის აღმზრდელი პედაგოგი" მოვიდა ახალ სტანდარტებთან შესაბამისობაში და განიცადა ...ერიოზული პროგრამული ცვლილებები. შეიცვალა პროგრამის კრედიტების რაოდენობა, სასწავლო პროცესის ხანგრძლივობა და მოცულობა განისაზღვრა:

1. ქართულენოვანი სტუდენტებისათვის: • მოცულობა: 111 კრედიტი • ხანგრძლივობა: 18 თვე
2. არქართულენოვანი სტუდენტებისათვის: • მოცულობა: 141 კრედიტი •

ხანგრძლივობა: 23 თვე. ამ ცვლილების შესაბამისად, ზოგიერთი მოდულის შემთხვევაში განისაზღვრა წინაპირობის ახალი ფორმატი. ასევე, რიგ შემთხვევებში, პროგრამაში შეიცვალა ან დაემატა ზოგადი, პროფესიული და არჩევითი მოდულების განმახორციელებელი პირები.

როგორც მომხსენებელმა აუწყა დამსწრეთ, აღნიშნული პროგრამის სრული დოკუმენტი დაგზავნილი ჰქონდათ საბჭოს წევრებს გასაცნობად. შესაბამისად, ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია კენჭისყრაზე დადგეს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედი მე-5 საფეხურის საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამის "ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი " დამტკიცება წარმოდგენილი ფორმით.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილი პროგრამის დამტკიცებას და ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება:

მომხრე: 20

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედი მე-5 საფეხურის საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამის "ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი " წარმოდგენილი სახით.

სხდომის თავმჯდომარე: პროფესორი
თამარ გაგოშიძე /  /

სხდომის მდივანი: ასოცირებული პროფესორი
ზაქარია ქიტიაშვილი /  /